საქართველოს 2018 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი

www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
2018 წელი

სარჩევი

რას მოიცავს 2018 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში? 3

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 5

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 6

2018 წლის იანვარ-სექტემბრის მაკროეკონომიკური მიმოხილვა 7

ღია ბიუჯეტის კვლევა 2017 8

სამინისტროების შესრულების მაჩვენებლები 9

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ

რას მოიცავს 2018 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში?

საბიუჯეტო პროცესი საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. **საბიუჯეტო პროცესი** არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც **მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.** სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები, რომლებსაც მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინსიტროს წარუდგენენ მათი ბიუჯეტის 3, 6 და 9 თვის შესრულების საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 დღის, ხოლო წლიური შესრულების ანგარიშს – წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

2018 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- თავი I - საქართველოს 2018 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები;
- თავი II - 2018 წლის იანვარ-სექტემბრის მაკროეკონომიკური მიმოხილვა;
- თავი III – სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები;
- თავი IV - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება;

- თავი V - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები;
- თავი VI - 2018 წლის 9 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- თავი VII - საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ნაერთი ბალანსი;
- საქართველოს 2018 წლის 9 თვის ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები;
- ინფორმაცია სახელმწიფო ვალის შესახებ;
- მიზნობრივი გრანტები;
- საინვესტიციო პროექტების შესრულება (პირდაპირი ჩარიცხვები);
- საინვესტიციო პროექტების შესრულება;
- სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში.

აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mof.ge.[1]

[1] https://www.mof.ge/5207

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ***ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა*** *12 459 500.0 ათასი ლარით.* საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ***დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა*** *8 990 958.4 ათასი ლარი,* რაც ***წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის*** *72.2%-ია.* ***საკასო შესრულებამ შეადგინა*** *8 272 260.2 ათასი ლარი,* რაც ***გეგმიური მაჩვენებლის*** *92.0%-ია.*



„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით **სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა** *9 720 893.2 ათასი ლარით.* აღნიშნული სახსრებიდან **9 თვის პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა** *7 029 429.2 ათასი ლარი*, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის *72.3%-ია.* **გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა** *6 625 658.3* ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის *94.3%-ია.*

9 თვის ხარჯების გეგმის შესრულება

წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2018 წლის 9 თვის სახელმწიფო **ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა** *7 465 713.2 ათასი ლარით,* საანგარიშო პერიოდში **მობილიზებულ იქნა** *7 746 066.3 ათასი ლარი,* ანუ **საპროგნოზო მაჩვენებლის** *103.8%.*

	2018 წლის 9 თვის გეგმა	2018 წლის 9თვის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	*7,465,713.2*	*7,746,066.3*	*280,353.1*	*103.8*
გადასახადები	6,880,500.0	7,075,260.7	194,760.7	102.8
გრანტები	308,293.2	325,365.0	17,071.8	105.5
სხვა შემოსავლები	276,920.0	345,440.5	68,520.5	124.7

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა *6 880 500.0 ათასი ლარით,* საანგარიშო პერიოდში **მობილიზებულ იქნა** *7 075 260.7 ათასი ლარი,* ანუ **საპროგნოზო მაჩვენებლის** *102.8%.*

	2018 წლის 9 თვის გეგმა	2018 წლის 9 თვის ფაქტი	+/-	%
გადასახადები	*6,880,500.0*	*7,075,260.7*	*194,760.7*	*102.8*
საშემოსავლო გადასახადი	2,073,000.0	2,151,727.5	78,727.5	103.8
მოგების გადასახადი	502,000.0	576,370.9	74,370.9	114.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,218,000.0	3,295,687.0	77,687.0	102.4
აქციზი	1,060,000.0	1,091,008.2	31,008.2	102.9
იმპორტის გადასახადი	43,500.0	55,746.8	12,246.8	128.2
სხვა გადასახადი	-16,000.0	-95,279.7	-79,279.7	595.5

2018 წლის იანვარ-სექტემბრის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2018 წლის პირველი ცხრა თვის **მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ,** წინა წლის შესაბამის პერიოდთან *4.9%* შეადგინა.

2018 წლის სექტემბერში საქართველოში **ინფლაციის დონემ** წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) *2.7%* შეადგინა.

2018 წლის სექტემბერში 2017 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის **გაცვლითი კურსი** აშშ დოლარის მიმართ *0.9%-ით* გამყარდა და 2.62 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

2018 წლის იანვარ-სექტემბერში **საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ** *9 124.8 მლნ აშშ დოლარი* შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე *20.8%-ით* მეტია.

სახელმწიფო ვალის ნაშთი 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს *17,194.3 მილიონ ლარს.* მათ შორის **საგარეო ვალის** *13,441.9 მილიონ ლარს,* ხოლო **საშინაო ვალის ნაშთი** *3,752.4 მილიონ ლარს.*

ღია ბიუჯეტის კვლევა 2017

საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში წარმატებით ხორციელდება, რასაც ადასტურებს *ღია ბიუჯეტის კვლევის 2017 წლის შედეგები. საქართველომ 82 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის* და 2006 წელს მინიმალური გამჭვირვალობის მქონე ქვეყნების ჯგუფიდან, *2017 წელს გადაინაცვლა ყველაზე გამჭვირვალე ქვეყნების ხუთეულში* (ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, შვედეთი,ნორვეგია და საქართველო).



2018 წლის 18 ივლისს, თბილისში გაიმართა მაღალი რანგის რეგიონალური დიალოგი თემაზე: „ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ჩართულობა“, რომელიც ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (International Budget Partnership) და ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ჩატარდა.

შეხვედრის მიზანი იყო საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით მიღწევების, არსებული გამოწვევების და სამომავლო გეგმების განხილვა, როგორც რეგიონის და სხვა პარტნიორი ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

სამინისტროების შესრულების მაჩვენებლები

	2018 წლის დამტკიცებული გეგმა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება	შესრულება % 9 თვე
ფინანსთა სამინისტრო	82,300.0	51,238.1	48,582.2	94.8%
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	229,550.0	178,448.8	120,098.3	67.3%
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,815,000.0	1,010,882.5	806,237.6	79.8%
იუსტიციის სამინისტრო	63,000.0	60,595.9	60,445.0	99.8%
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	150,000.0	111,147.0	105,311.3	94.7%
საგარეო საქმეთა სამინისტრო	120,950.0	97,102.5	94,207.0	97.0%
თავდაცვის სამინისტრო	802,000.0	628,747.8	580,139.6	92.3%
შინაგან საქმეთა სამინისტრო	569,590.0	425,711.7	413,484.7	97.1%
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	274,765.0	187,611.0	173,721.0	92.6%
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1,186,215.0	884,591.4	892,925.5	100.9%
კულტურისა და სპორტის სამინისტრო	285,255.0	242,379.7	215,364.0	88.9%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	96,200.0	76,333.0	72,317.5	94.7%
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,528,000.0	2,662,343.4	2,585,113.1	97.1%

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა *1 284.6 მლნ ლარი;*

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ *479.2 მლნ ლარი;*

ანაზღაურებულია მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 50%. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა *33.8 მლნ ლარი;*

„მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა ***536.4 მლნ ლარი;***

2018 წლის ივნისში დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ყოველთვიური სოციალური დახმარების (180 ლარი) გაცემა;

მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში ბინა გადაეცა 942 ოჯახს;

გრძელვადიანი საცხოვრებლით ახალაშენებულ კორპუსებში დაკმაყოფილდა 459 ოჯახი;

სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 6 266 დევნილს;

ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 220 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა ***481.5 მლნ ლარი.***

სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების დაფინანსებისა და ახალგაზრდების წახალისების მიზნით მიმართულ იქნა ***- 88.8 მლნ ლარი;***

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ მიზნით მიიმართა ***15.1 მლნ ლარი;***

დასრულდა 2 დიდი და 14 მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები, 3 საჯარო სკოლის სრული, 24 საჯარო სკოლის ნაწილობრივი და 3 პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ქართული ლიტერატურისა და კულტურის მასშტაბური პოპულარიზაციის საქმეში საეტაპო მნიშვნელობის პროექტის ***„ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს წარდგენა“*** ფარგლებში ხელი შეეწყო სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელი პროექტების მომზადებას;

საქართველომ უმასპინძლა მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს: ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში; თბილისის გრან-პრი ძიუდოში; მსოფლიო რბენა „Wings for Life“ 2018; ჭიდაობის გრან-პრი; ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში; ევროპის სპორტის კვირეული; მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა;

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა ***41.5 მლნ ლარი;***

„დანერგე მომავალის“ პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 1 343 ჰექტარზე გასაშენებელი 215 ბაღის პროექტი. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით მიიმართა ***8.5 მლნ ლარი;***

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა ***503.8 მლნ ლარი;***

2018 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით საქართველოს ეწვია ***6 788 377 საერთაშორისო მოგზაური,*** რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 11.2%-ით;

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 103 ბენეფიციარისათვის ***34 მლნ ლარის*** ჯამური ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა;

2018 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე. წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარული ემისია დაიწყო. სამი კვარტლის განმავლობაში განხორციელდა 705.0 მლნ ლარის სახაზინო ობლიგაციების (2, 5 და 10 წლის ვადის მქონე) ემისია, რაც სრულად ბენჩმარკ ბონდებს წარმოადგენს;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 19 პოლიტიკური პარტია. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა ***12.0 მლნ ლარამდე.***